ლ. მანაგაძის სახ.
უროლოგიის
ეროვნული ცენტრი

თბილისი 0144, წინანდლის ქ. 27
ტელ.: 2 27 35 31 ; ფაქსი 2 77 44 95

NATIONAL
CENTER OF UROLOGY

27 Tsinandali Str. Tbilisi 0144
Tel.: (+995 32) 227 35 31; Fax: (+995 32) 277 44 95

№ 01.10.2020 02/1006 20 6

მინდობილობა

მე, გიორგი მანაგაძემ (პ/ნ 01008001437), როგორც შპს "ლ.მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის" (ს/კ 206063383) გენერალურმა დირექტორმა, შემდგომში მოხსენიებულმა როგორც "მარწმუნებელი", ამავე საზოგადოების დირექტორს სამეურნეო ტექნიკურ დარგში დავით ჩხაბერიძეს პ/ნ 60002009639, შემდგომში მოხსენიებულს როგორც "რწმუნებული", მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, წინანდლის ქუჩა #27, ს/კ 01.17.13.001.074, სამშენებლო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებასთან და სამსახურთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები და სხვა დოკუმენტები, გაეცნოს და გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად.
წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია 6 თვის ვადით.

გენერალური დირექტორი: /გ.მანაგაძე/

შ.პ.ს „ლითოტრიფსია“
“ LITHOTRIPSY ” LTD

თბილისი 0144, წინანდლის ქ. № 27 / 27, Tsinandali str., 0144, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 32) 2774 438
Email: lithotripsy@yahoo.com www.litotripsia.ge

№ 110/20 „ 07 „ 10 2025

მე, გიორგი მანაგაძე (პ/ნ 01008001437), როგორც შპს “ლითოტრიფსიის” (ს/კ 206111330) გენერალური დირექტორი, ვაძლევ შპს “ლ.მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრს” (ს/კ 206063383) თანხმობას ჩვენს თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.13.001.074), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე.
წინამდებარე თანხმობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გენერალური დირექტორი: /გ.მანაგაძე/

სილქნეტი
SILKNET

№ 3712/24-8 "11" 08 2020

ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული
ცენტრის გენერალური დირექტორის რწმუნებულს
ბატონ იაკობ ლილუაშვილს
მის: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N27
ტელ: 2 27 35 31
საქართველო, თბილისი 0144
საკონტაქტო ტელ. მობ: 551 59 57 47

ბატონო იაკობ,

თქვენგან შემოსული წერილის (N 02/802 - 03/08/2020) პასუხად, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე, სს „სილქნეტის" კუთვნილი კომუნიკაცია არ გადის.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაიგეგმება სამშენებლო სამუშაოები და აღმოჩნდა სს „სილქნეტის" კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, განმცხადებელი (სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
- აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტის" წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახური ნომრებზე: 2950029 ან 2932740.
- წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

ვერსელა № 6/22
13 08 2020
საქმე № 01-23

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-39303-20
17 / 08 / 2020

ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის
ეროვნული ცენტრის დირექტორს
ბატონ გიორგი მანაგაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 3 აგვისტოს №01-01-39303-20 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.001.074) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულზე და მის სიახლოვეს განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი D=40 მმ-იანი, D=80 მმ-იანი, D=32 მმ-იანი და D=25 მმ-იანი მიწისზედა მილსადენები.

კომპანია თანახმაა განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები, თუ აღნიშნულ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაზსადენის გადატანის საჭიროების შემთხვევაში (საპროექტო-სამონტაჟო) ღირებულება ანაზღაურდება დაინტერესებული პირის მიერ.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში